



კომერციულ ბანკში რისკების მართვის მეთოდების სრულყოფა

რეზიუმე

შოთა ჭანტურიას

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: chanturiashota@gmail.com

სტატიაში მოცემულია კომერციულ ბანკებში არსებული რისკების მართვის მეთოდების სრულყოფის საკითხები. სტატიაში ძირითადი ყურადღება ეთმობა კომერციული ბანკის ფულად-საკრედიტო სისტემის პოლიტიკას, რომელიც ეფუძნება ლიკვიდობის რეგულირებას და საკრედიტო პორტფელის მართვას. ბანკისთვის აუცილებელია ფლობდეს დროულ და სარწმუნო ინფორმაციას იმ რისკების შესახებ, რომლებიც მას ემუქრება. ლიკვიდობის მართვა წარმოადგენს ძირითადად ლივერსიფიკაციას, გაფართოებას და რაოდენობრივი შეფასება ფინანსირების დამატებითი წყაროებისა. ლიკვიდობის მართვის მთავარი აზრია ის, რომ ყოველთვის იყოს შესაძლებელი გონივრული დანახარჯების პირობებში ნაღდი ფულის საჭიროების დაკმაყოფილება. კლიენტის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად ბანკს უნდა გააჩნდეს ინფორმაციის მიღების ინსტრუმენტები, რომლებიც საკმარისი იქნება იმისთვის, რათა გაანალიზდეს მსესხებლის ფულადი სახსრების ყოველთვიური ნაკადები, ანუ მსესხებლის შემოსავლები და გასავლები, მომავალში კრედიტის შესაბამისი გადახდების განხორციელების შესაძლებლობის შეფასების მიზნით.

საკვანძო სიტყვები: ლიკვიდობა, საკრედიტო რისკი, ლიმიტები, ლივერსიფიკაცია, ფინანსური სექტორი, რისკების მართვა, საკრედიტო პორტფელი, კომერციული ბანკი.

რისკების მართვა არ წარმოადგენს ფორმალური მოქმედებების ნაკრებს, რომლებიც ვაკუუმში ხორციელდება. ჰორიზონტალური მმართველობის პირობებში, თანამშრომელი, რომელიც შეფასებას ამზადებს, ცდილობს განსაზღვროს რისკი და სადაც შესაძლებელია გააკეთოს სავარაუდო დანაკარგების მინიმიზაცია. წარმატების შეფასება, სწორედ, ამ ამოცანების განხორციელებისას არის დაკავშირებული.

სწორი განხორციელებისას, პროცესის შეფასება წარმოადგენს კვლევით დადასტურებულ გონივრულ მითითებას რისკების მართვის განხორციელების მდგომარეობასა და ეფექტურობაზე.

ასევე ბევრ ბაზარზე მდგომარეობა საკმა-

ოდ სწრაფად იცვლება. ამან განაპირობა იმ ფინანსებისა და ბანკების რისკების მართვის მყისიერი გაძლიერება, რომლებიც ამ ბაზრებზე ფუნქციონირებენ. საჭიროა რამდენიმე მიმართულების გაძლიერება: ფინანსური ინფორმაცია უნდა გახდეს უფრო გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი, საჭიროა ფინანსური პოლიტიკისა და ფინანსური უნარების განვითარება (განსაკუთრებით აქტივებისა და ვალდებულებების მართვა, ვალდებულებებისა და პორტფელის მართვა), აუცილებელია შეიქმნას აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესი, ორგანიზაციული სტრუქტურის გაძლიერება, ფინანსურ მენეჯმენტში დავალების მკაფიოდ განაწილება, რათა ამოღდეს კონტროლის ეფექტურობა.

ლიკვიდურობა იმართება, რათა უზრუნველყოფილი იქნას საჭირო რეზერვების დონე ცენტრალურ ბანკში და გვექონდეს საკმარისი გარანტიები ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად, რათა კომპანია მზად დახედეს და მოულოდნელ საჭიროებებს. ლიკვიდურობის მართვის მთავარი აზრია ის, რომ ყოველთვის იყოს შესაძლებელი გონივრული დანახარჯების პირობებში ნაღდი ფულის საჭიროების დაკმაყოფილება. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნაღდი ფულის საჭიროება შეიძლება იქნას დაკმაყოფილებული ვალდებულებების ვადის გასვლისას ან აქტივების გაყიდვის ხარჯზე, ასევე დეპოზიტების შეძენისა ან ფულის ბაზარზე დამატებითი ფინანსირების ხარჯზე.

ლიკვიდურობის მართვა წარმოადგენს ძირითადად ლივერსიფიკაციას, გაფართოებას და რაოდენობრივი შეფასება ფინანსირების დამატებითი წყაროებისა. იმ სუბიექტების რაოდენობის გაზრდა, რომლებიც მზად არიან ბანკს მოაწოდონ ფონდები, კარგად იცნობენ ბანკებს, აქვთ სურვილი საბანკო ინსტრუმენტებში ინვესტირების, შეუძლია ბანკის შესაძლებლობების გაზრდა, ბანკს შეეძლება რესურსების მიღება მაშინ, როცა ეს საჭირო ხდება ყველაზე მეტად. ფინანსირების წყაროების ლივერსიფიკაცია ფინანსურ სტაბილურობას ზრდის და ფინანსების კონცენტრაციას ამცირებს, რომელსაც შეუძლია გახადოს ბანკი დაუცველი პრობლემების წინაშე, პოტენციური



ფულის ბაზრის ფინანსირების რაოდენობრივი განსაზღვრა არის ლიკვიდურობის დათვლის განუყოფელი ნაწილი ასეთ ინსტიტუტებში. ბანკებს, რომლებიც ეყრდნობიან ვალდებულებების მართვას, უნდა ჰქონდეთ როგორც ფულადი ბაზრის, ასევე ფინანსური წყაროების პოტენციური სისუსტეების მკაფიო გაგება.

ლიკვიდურობა შეიძლება იმართებოდეს ყველა ტიპის ვალუტისთვის, რომელთანაც მუშაობს ორგანიზაცია, ისევე როგორც საპროცენტო განაკვეთის რისკების მართვის დროს. თუ ორგანიზაცია მუშაობს ეროვნულ ვალუტაში, მას აქვს შესაძლებლობა ხშირად მიმართოს ეროვნულ ბანკს და მოთხოვოს დახმარება პრობლემების დაძლევაში, რაც გულისხმობს ლიკვიდური რესურსების უცებ წარმოქმნილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას. ბანკის ეს ფუნქცია - შეითავსოს საბოლოო ინსტანციის კრედიტორის ფუნქცია და მიაწოდოს კომერციულ ბანკს უცხოურ ვალუტაში არსებული კრედიტი იშვიათად თუ გამოიყენება კომერციულ ბანკთან მიმართებაში. თუ ეროვნული ვალუტა უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში საკმარისად კონკურენტუნარიანი არ არის, მაშინ ლიკვიდურობის სამართავად უფრო კონსერვატული მიდგომების გამოყენება არის საჭირო.

იმისათვის, რომ ყოველთვის მზად იყოს ლიკვიდურობასთან დაკავშირებული ნებისმიერ სახის მოულოდნელობისა და უსიამოვნების მიმართ, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის განყოფილება, ასეთი შემთხვევებისთვის, სპეციალურ გეგმებს ქმნის. ხოლო, ამ გეგმებში განიხილება ყველაზე ცუდი სცენარით განვითარებული მოვლენები და იქმნება მათი გადაჭრის სტრატეგიები.

საგანგებო სიტუაციების დროს გეგმების შემუშავების გარდა, ის ვინც პასუხისმგებელია აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე, შეუძლიათ ლიკვიდურობის გაზრდის მიზნით განაზოციელონ პროფილაქტიკური ღონისძიებები. მაგალითად, შესაძლებელი არის ვალდებულებების ვადის გახანგრძლივება, რაც მიზნად ისახავს ფულად სახსრებზე მოთხოვნის შემცირებას მოკლევადიან პერიოდში. თუმცა, იმისათვის, რომ ასეთი სახის ოპერაციები იქნეს განხორციელებული, აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე პასუხისმგებელი პირები, უნდა იყვნენ ინფორმირებული ბანკის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. ეს, როგორც წესი, საკრედიტო პორტფელის დეტალურ შესწავლას მოიცავს.

კლიენტის კრედიტუნარიანობის შესაფასებლად ბანკს უნდა გააჩნდეს ინფორმაციის მიღების ინსტრუმენტები, რომლებიც საკმარისი იქნე-

ბა იმისთვის, რათა გაანალიზდეს მსესხებლის ფულადი სახსრების ყოველთვიური ნაკადები, ანუ მსესხებლის შემოსავლები და გასავლები, მომავალში კრედიტის შესაბამისი გადახდების განხორციელების შესაძლებლობის შეფასების მიზნით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ანალიზის დადებითი შედეგის მიუხედავად, მსესხებელს შეუძლია არ შეასრულოს ბანკთან შეთანხმებული სახელშეკრულებო ვალდებულებები და ფულადი სახსრები სხვა მიზნებისთვის გამოიყენოს, რაც გაზრდის ბანკის რისკებს.

არსებობს რამდენიმე ხერხი, რომელთა მეშვეობით ბანკს შეუძლია შეაფასოს მსესხებლის მზაობა - შეასრულოს თავისი მოვალეობები. აქ შეიძლება დახმარება გაგვიწიოს კლიენტთან ნაცნობობამ. მაგალითად, წერილობითი ცნობები მსესხებლის მიერ თავისი ადრეული ვალდებულებების შესრულების, ან შავი ღლისთვის გადადებული დანაზოგების შესახებ შეიძლება სასრგებლო ინფორმაცია აღმოჩნდეს ბანკის საკრედიტო განყოფილების თანამშრომლებისთვის. არსებობს ოქროს წესი: თუ ბანკს ეჭვი შეაქვს კლიენტი-მსესხებლის გადახდისუნარიანობაში, ან ვალდებულებათა შესრულების მზაობაში, მაშინ კრედიტი არ უნდა გაიცეს, გირაოთი უზრუნველყოფის შემთხვევაშიც კი.

ბანკისთვის აუცილებელია ფლობდეს დროულ და სარწმუნო ინფორმაციას იმ რისკების შესახებ, რომლებიც მას ემუქრება. მონაცემების არ არსებობას ან უკმარისობას შეუძლია აქტივების ხარისხის შეფასების გაძნელება, და შედეგად, მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარავად გამოყოფილ რეზერვებზე მოთხოვნილებების შეფასების გაძნელება. უნდა აღინიშნოს, რომ მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარავად გამოყოფილი რეზერვების დეფიციტს შეუძლია გამოიწვიოს დამატებითი დამაბულობა რთულ პერიოდში, როდესაც, ჩვეულებრივ, შემოსავლები ქვეითდება. არ უნდა იქნეს დავიწყებული ისიც, რომ კაპიტალი წარმოადგენს გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი დანაკარგებისგან დაცვას და არ არის განკუთვნილი მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარავად.

გარდა ამისა, შესაძლო საკრედიტო რისკის შესახებ ზუსტი და დროულად მიღებული ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაში, ბანკს არ შეუძლია პრეკტიკულად შეაფასოს, უნდა მისცეს თუ არა მან რომელიმე მსესხებელს დამატებითი კრედიტი და თუ კი - ხელშეკრულების რა პირობებით (სარგებელი, დაფარვის ვადა და ა.შ.).

თუმცა, ბანკს არ შეუძლია შემოიფარგლოს კრედიტორის მიმართ მხოლოდ საკუთარი რისკების ცოდნით. იმისთვის, რომ სწორად და ზუსტ-



ად შეფასდეს მსესხებლის კრედიტუნარიანობა, ბანკისთვის მნიშვნელოვანია ფლობდეს ინფორმაციას ყოველი მსესხებლის ნასესხები საშუალებების რისკების საერთო მოცულობაზე, მაგ., იმ სესხების შესახებ, რომლებიც მსესხებელს სხვა ბანკების მიერ მიეწოდება. ეს მოითხოვს ყველა კონტრაგენტის უწყვეტ მონიტორინგს, რათა შეფასდეს საბოლოო მოთხოვნილება სესხებზე მოსალოდნელი დანაკარგების დასაფარავ რეზერვებზე. ასეთი მონიტორინგი უნდა აფასებდეს ასევე ეკონომიკის განვითარებულობის საერთო გავლენას ცალკე განხილულ კლიენტზე ან მსესხებელთა ჯგუფებზე, რომელთა ნაწილიცაა კლიენტი (მაგ. უმუშევრობის ზრდასა და ეკონომიკური განვითარების შენელების გავლენა სასესხო ვალდებულებების შესრულების უნარსა და შესაძლებლობებზე).

თუმცა, ხშირად ისეც ხდება, რომ აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე პასუხისმგებელი პირები, სერიოზული სირთულეების შესახებ, მხოლოდ მცირე დროით ადრე, და ზოგჯერ რამდენიმე საათით ადრე იგებენ, იქამდე სანამ უკვე ყველასთვის გახდება ცნობილი. საკრედიტო პორტფელზე პასუხისმგებელი პირები ისე მოქმედებენ, რომ კრიტიკულ წერტილამდე მიღწევამდე, უკვე აღმოჩენილი აქვთ ოს პრობლემა, რომელმაც შესაძლოა კომერციული ბანკის ლიკვიდურობის კოეფიციენტის შემცირება გამოიწვიოს. ამიტომაც, აუცილებელია ის, რომ ორგანიზაციის შიგნით სხვადასხვა დეპარტამენტები შეთანხმებულად და კოორდინირებულად მუშაობდნენ, რათა აქტივებისა და ვალდებულებების მართვაზე პასუხისმგებელი პირებმა დროულად მოახდინონ რეაგირება იმ მოკლე პერიოდში, სანამ საგანგებო სიტუაცია დაუდგება კომპანიას.

მმართველმა პირებმა, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა გამოიყენონ ინფორმაცია ფორვარდული შეთანხმებების შესახებ, რათა შეაფასონ და აკონტროლონ ბანკის წინაშე დამდგარი რისკები. საკრედიტო რისკის მოცულობა, კონტრაქტის რეალიზაციის პირობებში - ეს არის გადასახადის აბსოლუტური მოცულობა, რომელიც უნდა შესრულდეს ბანკის მიერ. საკრედიტო რისკის მოცულობა, რომელიც კონტრაქტის რეგულაციამდე იჩენს თავს, ასეთი არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან დამოკიდებულია სავალუტო გაცვლითი კურსის მოძრაობაზე. თუ კურსი ბანკის სასარგებლო იცვლება, ეს აჩენს საკრედიტო რისკს. თუ კურსი ბანკის პოზიციის საწინააღმდეგო იცვლება, მაშნ ბანკს საკრედიტო რისკი არ გააჩნია. აქედან გამომდინარე, შესაბამისმა

პასუხისმგებელმა პირმა დეტალურად უნდა მოახდინოს პოტენციური საკრედიტო რისკის შესწავლა, რომელიც ხელშეკრულების მიმდინარეობის პერიოდში შეიძლება დაუდგეს ბანკს. რაც უფრო გრძელვადიანი არის კონტრაქტი, მით უფრო მეტად არასტაბილური არის კურსი და ხელშეკრულების ნომინალურ ღირებულებასთან მიმართებაში საკრედიტო რისკის დადგომის საშიშროება არსებობს.

საკრედიტო რისკის შესამცირებლად, კომერციული ბანკები ყოვეთვის ცდილობენ შეაფასონ ის პოტენციური რისკი, რომელიც შეიძლება მათ დაუდგეთ თავიანთი ფინანსური სახსრების გასესხებით. ამ რისკების ერთ-ერთი ნაირსახეობათაგანი არის სესხის მიმღების მიერ თანხის დაფარვის შეუძლებლობა.

კომერციულ ბანკებში საკრედიტო რისკებზე კონტროლი, რომელიც მოიცავს:

- სტრუქტურული ერთეულების კონტროლს, როგორებიცაა პასუხისმგებელი პირების თვითკონტროლი, ასევე სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელების კონტროლი;

- მთლიანად ბანკის კონტროლს. ის შეიძლება დავეთო მიმდინარე და შემდგომი რისკების კონტროლებად;

- გარე კონტროლი, რომელიც ხორციელდება ბანკის გარე აუდიტის ფარგლებში.

- საკრედიტო რისკების რეგულირებისა და მართვისას სხვადასხვა მეთოდების შესწავლითა და გამოყენებით შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ „საკრედიტო რისკების რეგულირების მეთოდები“ უნდა განიხილებოდეს ეკონომიკურ შესაძლებლობებთან და ორგანიზაციულ-სამართლებრივ ზომებთან ერთად, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტების ინტერესების (კრედიტორებისა და მსესხებლების) რეალიზაციასა და საკრედიტო რისკების თავიდან აცილებასა და მინიმუმამდე დაყვანას.

საკრედიტო პორტფელის მართვისას არსებობს რამდენიმე ძირითადი პრინციპი:

1. საკრედიტო პორტფელის მართვა ბანკს ეხმარება არა მხოლოდ საკრედიტო საქმიანობის სფეროს დახასიათებაში, არამედ ბანკის საკრედიტო პოლიტიკაზე დამოკიდებული მისი ლიკვიდურობა, შემოსავლიანობა და ფინანსური უსაფრთხოება მთლიანად, რომლის დროსაც საკრედიტო პორტფელის ხარისხი დამოკიდებულია ბანკის კაპიტალის ბაზაზე, მისი პასივების სტრუქტურაზე, ბანკის მენეჯმენტისა და დაკრედიტების კულტურაზე.

2. საკრედიტო პორტფელის ანალიზისა და მართვის დროს განიხილება არა მხოლოდ მთლიანი პორტფელი, არამედ კრედიტების თი-



თოეული ჯგუფი, მაგალითად, ცალკე აღებული საკრედიტო ოპერაცია. ეს ყველაფერი მოიცავს კონკრეტულ საკრედიტო-საბანკო ოპერაციებს.

3. საკრედიტო პორტფელის მართვა და ანალიზი მოითხოვს ბანკის საკრედიტო საქმიანობის სისტემატურ შესწავლასა და დაკვირვებას, საბანკო სასესხო დინამიკის შემადგენლობასა და ხარისხის შეფასებას, საშუალო საბანკო მონაცემებზე დაყრდნობით.

4. მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების დანიშნულების შემადგენლობა, რომელიც გამოიყენება საკრედიტო პორტფელის მართვისას არ ატარებს აუცილებელ ხასიათს ბანკისთვის. შესაბამისად, თითოეული ბანკი ანალიზს ატარებს თავისი ანალიტიკური შესაძლებლობების საფუძველზე, იყენებს რა მსოფლიო და ქვეყანაში არსებულ გამოცდილებას. საკრედიტო პორტფელის მართვის პროცესი მოითხოვს რისკების

მართვის წარდგინებას, დაკრედიტებისა და დანაშაულის ღირებულების შესაბამისად, სუბიექტებისა და ობიექტების დაკრედიტების პროცესში პრიორიტეტების მიხედვით. რისკების მართვის წესები მოიცავს შემდეგს:

ა. ბანკს არ შეუძლია თავის თავზე აიღოს იმაზე მეტი, ვიდრე ამას საკუთარი კაპიტალის ზომა მოიცავს;

ბ. აუცილებელია რისკის შედეგებზე დაფიქრება, არ უნდა გავრისკოთ დიდით - პატარა მიზნის მისაღწევად;

გ. დადებითი გადაწყვეტილებები მიღებული უნდა იქნეს მაშინ, როდესაც არ არსებობს ეჭვები. თუ კი არსებობს ეჭვები აუცილებელია უარყოფითი გადაწყვეტილების მიღება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში არსებობს მოცემული საკითხის გადაწყვეტის რამდენიმე შესაძლებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერშტამი ე. ფინანსურ-საკრედიტო ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2011.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი
3. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ (საქართველოს აქტების კრებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოცემული – თბილისი, 1998 წ. – გვ. 382-415,
4. 12. Батракова Л.Г. – Экономический анализ

деятельности коммерческого банка . – Москва, издательство «Логос», 2000 г.- 344 с.

5. Никитина Т.В. – Банковский менеджмент: Стратегия и планирование, анализ деятельности, рейтинговые оценки – СПб Питер, 2002 г.-160 с

6. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. – „რისკოლოგია - ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი“, სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2007. – 567 გვ.

PERFECTION OF THE RISK MANAGEMENT METHODS IN COMMERCIAL BANKS

SHOTA CHANTURIA

PhD of GTU

E-mail: chanturiashota@gmail.com

Summary

In article methods of improvement of risk management in commercial banks are considered. The main attention is paid to the competent monetary policy of commercial bank relying on regulation of liquidity and management of credit portfolio. The bank must have timely and reliable information on the risks that may threaten it. Liquidity management mainly consists of diversification, expansion and quantitative evaluation of additional sources of financing. The main point of liquidity management is that it is always possible to satisfy the need for cash in the conditions of reasonable expenses. In order to assess the creditworthiness of the Client, the commercial bank shall have the tools to obtain information that will be sufficient to analyze the monthly flows of the borrower's money, i.e., the income and expenses of the borrower, in order to assess the possibility of making payments in the future.

Key words: Liquidity, credit risk, limits, diversification, financial sector, risk management, credit portfolio, commercial bank.